

საქართველოს
დაპროზიხების დაზღვევის საბუნბო



DEPOSIT INSURANCE AGENCY
OF GEORGIA

2019 წლის მეორე კვარტლის ანგარიში

ივლისი, 2019 წელი

სარჩევი

მიმოხილვა	3
კომერციული ბანკების ანგარიშგება და რეგულარული სადაზღვევო შენატანები	3
პორტფელის მართვა	6
მართვის საინფორმაციო სისტემის შემუშავების პროცესი	7
კომერციული ბანკების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის ადგილზე გადამოწმება	8
ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება	9

მიმოხილვა

2019 წლის მეორე კვარტალში სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტომ განახორციელა შესაბამისი წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. გაგრძელდა მუშაობა მართვის საინფორმაციო სისტემის და ანაზღაურების ინსტრუქციის ჩამოყალიბების მიმართულებით.

ასევე, “კომერციულ ბანკებში არსებული დაზღვეული დეპოზიტების შესახებ კომერციული ბანკებისგან მიღებული ინფორმაციის გადამოწმების წესის დამტკიცების თაობაზე” სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს უფროსის 2019 წლის 10 იანვრის ბრძანება №2-ის შესაბამისად, განხორციელდა 2 გადამოწმება საქართველოს ეროვნული ბანკის ჩართულობით.

სააგენტოში გრძელდება მუშაობა საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმართულებით, რომლის ფარგლებშიც მომზადდა ალტერნატიული სადაზღვევო ზღვრის ანალიზი; შესაბამისი წინადადება, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან კოორდინაციით, გაიგზავნება ევროკავშირის ასოცირების კომიტეტში განსახილველად.

გრძელდება კომერციული ბანკებისგან ყოველთვიური ანგარიშგებით წარმოდგენილი მონაცემების სტატისტიკური დამუშავება და ანალიზი, ასევე, საინვესტიციო პოლიტიკით განსაზღვრული შესაბამისი აქტივობები.

კომერციული ბანკების ანგარიშგება და რეგულარული სადაზღვევო შენატანები

სააგენტოში გრძელდება კომერციული ბანკების მიერ წარმოდგენილი ყოველთვიური ანგარიშგების ანალიტიკური დამუშავება.

2019 წლის აპრილის აგრეგირებული მონაცემებით, დეპოზიტების საერთო მოცულობამ 24 090 387 323 ლარი შეადგინა, საიდანაც ფიზიკური პირების დეპოზიტების მთლიანი მოცულობა 12 749 514 587 ლარი, ხოლო მასში დაზღვეული დეპოზიტების ნაწილი 1 706 787 972 ლარი იყო. ამავე თვის შედეგებით, ბანკების მიერ გადახდილი თანხის სრულმა მოცულობამ 1 365 229 ლარი შეადგინა.

რაც შეეხება 2019 წლის მაისის შედეგებს, დეპოზიტების საერთო მოცულობამ 25 036 702 886 ლარი შეადგინა, საიდანაც ფიზიკური პირების დეპოზიტების მთლიანი მოცულობა 13 317 626 781 ლარი, ხოლო მასში დაზღვეული დეპოზიტები - 1 728 802 603 ლარი იყო. რეგულარული შენატანის მთლიანი მოცულობა 1 366 672 ლარით განისაზღვრა.

2019 წლის ივნისის მდგომარეობით დეპოზიტების საერთო მოცულობამ 25 699 758 782 ლარი შეადგინა, საიდანაც ფიზიკური პირების დეპოზიტების მთლიანი მოცულობა 13 656 419 656 ლარი, ხოლო მასში დაზღვეული დეპოზიტები - 1 746 534 330 ლარი იყო. რეგულარული შენატანის მთლიანი მოცულობა 1 382 298 ლარით განისაზღვრა.

2019 წლის იანვრიდან დეპოზიტების მთლიანი მოცულობა (ფიზიკური და იურიდიული პირები) საშუალოდ თვიურად 1.23%-ით იზრდებოდა. მაქსიმალური ზრდა 2019 წლის მაისში დაფიქსირდა, როდესაც დეპოზიტების მთლიანმა მოცულობამ 3.93%-ით მოიმატა. რაც შეეხება ფიზიკური პირების დეპოზიტებს, მათი მოცულობა საშუალოდ 1.51%-ით იზრდებოდა. ფიზიკური პირების დეპოზიტების და დაზღვეული დეპოზიტების მაქსიმალური ზრდა 2019 წლის მაისის და აპრილის თვეში დაფიქსირდა და შესაბამისად 4.46% და 3.43% შეადგინა. #1 ცხრილში მოცემულია დეტალური ინფორმაცია აღნიშნულ მონაცემებთან დაკავშირებით.

ცხრილი 1. დეპოზიტების მთლიანი მოცულობა, ფიზიკური პირების დეპოზიტები, დაზღვეული დეპოზიტები, ცვლილება, %, მლრდ ლარი

	დეკ.18	იან.19	თებ.19	მარ.19	აპრ.19	მაი.19	ივნ.19	საშ
დეპოზიტების მთლიანი მოცულობა	23,90	23,60	23,75	23,98	24,09	25,04	25,70	
თვიური ცვლილება, %		-1,27	0,64	0,99	0,46	3,93	2,65	1,23
ფიზიკური პირების დეპოზიტები	12,50	12,22	12,43	12,50	12,75	13,32	13,66	
თვიური ცვლილება, %		-2,21	1,66	0,57	2,01	4,46	2,54	1,51
დაზღვეული დეპოზიტები	1,75	1,64	1,67	1,65	1,71	1,73	1,75	
თვიური ცვლილება, %		-6,10	1,59	-1,15	3,43	1,29	1,03	0,01

2019 წლის პირველი და მეორე კვარტლის მონაცემების შედარებიდან იკვეთება, რომ მეორე კვარტლის ბოლოს, პირველ კვარტალთან შედარებით, დეპოზიტების მთლიანი მოცულობა 7.17%-ით, ფიზიკური პირის დეპოზიტები - 9.27%-ით, ხოლო დაზღვეული დეპოზიტების მოცულობა - 5.84%-ით არის გაზრდილი (ცხრილი #2).

დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო

ცხრილი 2. დეპოზიტების მთლიანი მოცულობა, ფიზიკური პირების დეპოზიტები, დაზღვეული დეპოზიტები, ცვლილება, %, მლრდ ლარი

	მარ.19	ივნ.19
დეპოზიტების მთლიანი მოცულობა	23,98	25,70
კვარტალური ცვლილება, %	-	7,17
ფიზიკური პირის დეპოზიტები	12,50	13,66
კვარტალური ცვლილება, %	-	9,27
დაზღვეული დეპოზიტები	1,65	1,75
კვარტალური ცვლილება, %	-	5,84

2019 წლის მეორე კვარტლის მონაცემების მიხედვით, წინა წლის შესაბამის კვარტალთან შედარებით დეპოზიტების მთლიანი მოცულობა 25.86%-ით, ფიზიკური პირების დეპოზიტები 25.96%-ით, ხოლო დაზღვეული დეპოზიტები - 11.44%-ით გაიზარდა (ცხრილი #3).

ცხრილი 3. დეპოზიტების მთლიანი მოცულობა, ფიზიკური პირების დეპოზიტები, დაზღვეული დეპოზიტები, ცვლილება, %, მლრდ ლარი

	ივნ.18	ივნ.19
დეპოზიტების მთლიანი მოცულობა	20,42	25,70
კვარტალური ცვლილება, %	-	25,86
ფიზიკური პირის დეპოზიტები	10,84	13,66
კვარტალური ცვლილება, %	-	25,96
დაზღვეული დეპოზიტები	1,57	1,75
კვარტალური ცვლილება, %	-	11,44

2019 წლის იანვარი-ივნისის თვეებში რეგულარული სადაზღვევო შენატანების მაქსიმალური ზრდა (3.46%) მიმდინარე წლის მეორე კვარტალში დაფიქსირდა და აპრილის თვის რეგულარული სადაზღვევო შენატანის მთლიანმა მოცულობამ 1 365 230 ლარი შეადგინა (ცხრილი #4).

ცხრილი 4. რეგულარული სადაზღვევო შენატანი, ცვლილება, %, მლნ ლარი

	დეკ.18	იან.19	თებ.19	მარ.19	აპრ.19	მაი.19	ივნ.19	საშ
რეგულარული სადაზღვევო შენატანი	1,39	1,31	1,33	1,32	1,37	1,37	1,38	
თვიური ცვლილება, %		-5,50	1,25	-0,78	3,46	0,11	1,14	-0,05

2019 წლის მეორე კვარტალში განხორციელებული სადაზღვევო შენატანების ჯამური ოდენობა პირველი კვარტლის შესაბამის მაჩვენებელს 3.81%-ით (ცხრილი #5), ხოლო წინა წლის შესაბამისი კვარტლის მაჩვენებელს 11.08%-ით აღემატება (ცხრილი #6).

ცხრილი 5. რეგულარული სადაზღვევო შენატანი, ცვლილება, %, მლნ ლარი

	მარ.19	ივნ.19
რეგულარული სადაზღვევო შენატანი	3,96	4,11
კვარტალური ცვლილება, %	-	3,81

ცხრილი 6. რეგულარული სადაზღვევო შენატანი, ცვლილება, %, მლნ ლარი

	ივნ.18	ივნ.19
რეგულარული სადაზღვევო შენატანი	3,70	4,11
კვარტალური ცვლილება, %	-	11,08

2019 წლის ივნისის მონაცემების მიხედვით, სრულად დაზღვეულია დეპოზიტორი ფიზიკური პირების 96% და ფიზიკური პირების მთლიანი დეპოზიტების 12,79%. დაზღვეული დეპოზიტების 62% დაზღვეულია ეროვნულ ვალუტაში, ხოლო 38% - უცხოურ ვალუტაში.

პორტფელის მართვა

2019 წლის მეორე კვარტალში კომერციული ბანკების მიერ დეპოზიტების დაზღვევის ფონდში შეტანილი თანხების მთლიანმა მოცულობამ სულ 4 114 200 ლარი შეადგინა. დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს საინვესტიციო პოლიტიკისა და 2019 წლის საინვესტიციო გეგმის შესაბამისად, სააგენტომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ფასიანი ქაღალდების აუქციონზე ოთხი განაცხადი გააკეთა, აქედან, სამი განაცხადი დაკმაყოფილდა.

2019 წლის 8 აპრილს ჩატარებულ აუქციონზე 2 წლის ვადიანობის მქონე სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში განხორციელდა 1 336 386,98 ლარის ინვესტიცია. აღნიშნულ აუქციონზე სააგენტომ 1 305 000 ლარის ნომინალური ღირებულების ფასიანი ქაღალდები შეიძინა, რომელთა შემოსავლიანობის განაკვეთი 6,800%-ია.

2019 წლის 11 ივნისს სააგენტომ შეისყიდა 2 230 000 ნომინალური ღირებულების 2 წლის ვადიანობის მქონე სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები, რომელთა შემოსავლიანობის სარგებელი 6,600%-ია, რისთვისაც 2 317 045,79 ლარის მოცულობის ინვესტიცია

განახორციელა. ხოლო 25 ივნისს სააგენტომ 5 წლის ვადიანობის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები შეიძინა, რომლის ნომინალური ღირებულება 1 320 000 ლარია, შემოსავლიანობის განაკვეთი 7,000%. აღნიშნული ფასიანი ქაღალდების შესაძენად 1 326 928,32 ლარის ინვესტიცია განხორციელდა.

მართვის საინფორმაციო სისტემის შემუშავების პროცესი

დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტო ვალდებულია „ანაზღაურების ოპერატიულად გაცემის უზრუნველსაყოფად შეიმუშაოს მართვის საინფორმაციო სისტემა და პროცედურები და არანაკლებ წელიწადში ერთხელ განახორციელოს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის სიმულაცია“.

კანონის აღნიშნული მოთხოვნის გათვალისწინებით, 2019 წლის პირველ კვარტალში სააგენტომ “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, პროგრამის შექმნისთვის შესაბამისი კომპანიის შესარჩევად, გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი. ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა კომპანია „ასეკო ჯორჯია“.

კომპანიამ დაიწყო ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების შესრულება პროგრამის აღწერის ტექნიკური დავალების დოკუმენტის შესაბამისად. ამ დროისთვის შემუშავებულია ყოველთვიური ანგარიშგების მოდულის გარკვეული ნაწილები. პროცესი მიმდინარეობს სააგენტოსთან მუდმივი კომუნიკაციის და კოორდინაციის რეჟიმში, როგორც შეხვედრების, ისე ინფორმაციის ელექტრონული გაცვლის პირობებში.

მართვის საინფორმაციო სისტემა წარმოადგენს სპეციალურ ელექტრონულ პროგრამას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სააგენტოს მიერ განსახორციელებელი ძირითადი პროცესების ავტომატიზაცია და სააგენტოსა და კომერციულ ბანკებს შორის ინფორმაციის გაცვლის ერთიან სისტემაში მოქცევა. დეპოზიტების დაზღვევის სპეციალური კომპიუტერული პროგრამით ოპერირება სისტემის მართვისა და ფუნქციონირების საერთაშორისოდ აღიარებულ პრაქტიკას წარმოადგენს. პროგრამას ექნება 2 ძირითადი მოდული - ყოველთვიური ანგარიშგების და სადაზღვევო შემთხვევის მართვის.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კომპანია უზრუნველყოფს სააგენტოსთვის უნიკალური პროდუქტის შექმნას; ასევე, მომდევნო 1 წლის მანძილზე გაწევს საკონსულტაციო და ტექნიკური მხარდაჭერის მომსახურებას და ჩართული იქნება პროგრამის გამოცდის პირველ სიმულაციურ ტესტში.

ზემოაღნიშნულის პარალელურად, მსოფლიო ბანკის ტექნიკური მისიის ექსპერტის მონაწილეობით, დასრულდა მუშაობა „სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ანაზღაურების გაცემის და ამ მიზნით კომერციული ბანკის შერჩევის“ ინსტრუქციის პროექტზე. აღნიშნული დოკუმენტის შექმნა ასევე, წარმოადგენს „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნას და მასში აღწერილია სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ანაზღაურების პროცესი და პროცედურები, მათ შორის მართვის საინფორმაციო სისტემის გამოყენებით. ინსტრუქცია, საბოლოო სახით, დამტკიცდება მართვის საინფორმაციო სისტემაზე მუშაობის დასრულების შემდეგ.

კომერციული ბანკების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის ადგილზე გადამოწმება

„დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, სსიპ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო უფლებამოსილია „კომერციულ ბანკებში არსებული დაზღვეული დეპოზიტების შესახებ კომერციული ბანკებისგან მიღებული ინფორმაცია გადაამოწმოს ადგილზე, დისტანციურად ან/და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული პირის ან/და კომერციული ბანკების გარე აუდიტორების მეშვეობით“. აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელების პროცედურულად გამართვის მიზნით, შემუშავდა და სსიპ - დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს უფროსის 2019 წლის 10 იანვრის ბრძანება #2-ით დამტკიცდა „კომერციულ ბანკებში არსებული დაზღვეული დეპოზიტების შესახებ კომერციული ბანკებისგან მიღებული ინფორმაციის გადაამოწმების წესი“.

გადამოწმების 2019 წლის გეგმის შესაბამისად, მეორე კვარტალში - 4 და 5 ივნისს - 2 კომერციულ ბანკში ჩატარდა ადგილზე გადამოწმება. პროცესში მონაწილეობდნენ სააგენტოს ფინანსური ექსპერტი, ანაზღაურების ექსპერტი და საქართველოს ეროვნული ბანკის საოპერაციო რისკებისა და ინფორმაციის დამუშავების განყოფილების წარმომადგენელი.

გადამოწმების პროცესში შემოწმდა ბანკების მიერ სააგენტოსთვის მიწოდებული ყოველთვიური ანგარიშგების შედგენის პროცესის გამართულობა, ლოგარითმის სიზუსტე და შესაბამისობა „კომერციული ბანკების მიერ გადასახდელი რეგულარული სადაზღვევო შენატანების ბაზის დაანგარიშების და რეგულარული სადაზღვევო შენატანების გადახდის პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციით განსაზღვრულ პირობებთან.

გადამოწმების შესახებ მომზადდა შესაბამისი ანგარიში, რომლის შემაჯამებელ დასკვნაში აღნიშნულია, რომ შემოწმებული ბანკების მიერ სააგენტოსთვის წარმოდგენილი ყოველთვიური ანგარიშგების მომზადების პროცესში არსებითი ხარვეზები არ არის გამოვლენილი და ფორმა 1/2/3-ის შედგენის პროცესი შეესაბამება შესაბამისი ინსტრუქციის მოთხოვნებს.

ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება

საქართველო-ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების თანახმად, დეპოზიტების დაზღვევის სისტემის მარეგულირებელი დირექტივის დებულებები „უნდა შესრულდეს წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან ექვსი წლის ვადაში. თუმცა, საქართველო უფლებამოსილია განიხილოს განსხვავებული ზღვარი, ვიდრე ეს ამ დირექტივით არის გათვალისწინებული და წარუდგინოს წინადადება ასოცირების საბჭოს, საქართველოში ადგილობრივი შიდა ბაზრის განვითარებების გათვალისწინებით, წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს ხუთი წლისა“. აღნიშნული ვადა მიმდინარე წლის ბოლოს იწურება.

სააგენტომ უკვე შეიმუშავა სადაზღვევო ზღვრის ცვლილების ანალიზი რამდენიმე სცენარის გათვალისწინებით. ანალიზი წარუდგინა სააგენტოს სამეთვალყურეო საბჭოს, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებას ზღვრის ცვლილებასთან დაკავშირებით. აღნიშნული გადაწყვეტილების შესაბამისად, სააგენტო, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობით, მოამზადებს შესაბამის წინადადებას და წარუდგენს ასოცირების საბჭოს 2019 წლის მესამე კვარტალში.